საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 18 სექტემბერი, 2019 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/03

სტუდენტთა პრაქტიკის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუდენტთა პრაქტიკის დებულების მე-4 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,,4. პრაქტიკის განხორციელებისათვის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით. თითოეულ პროგრამაზე მტკიცდება პრაქტიკის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

7. საგანმანალებლო პროგრამის პრაქტიკის ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი და შეფასება“.

2. სტუდენტთა პრაქტიკის დებულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,, 5.2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე განაწილებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ“.

3. ამოღებულ იქნას სტუდენტთა პრაქტიკის დებულების მე-5 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტი.

4. სტუდენტთა პრაქტიკის დებულების მე-7 მუხლს დაემატოს მე-3 და მე-4 პუნქტები:

,,3. სტუდენტს, რომელიც დასაქმებულია საგანმანათლებლო პროგრამის პროფილით, უფლება აქვს მუშაობის პერიოდი ჩეთვალოს პრაქტიკაში, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებიდან წარმოადგენს ანგარიშს დაწესებულებაში დაკავებულ პოზიციაზე შესრულებული სამუშაოს შესახებ და დახასიათებას ხელმოწერილს დაწესებულების ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ“.

4. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილით დასაქმებული სტუდენტის მიერ ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემთ-

ხვევაში კომისიას შეუძლია პრაქტიკის დაცვაზე დაუშვას სტუდენტი და შეაფასოს სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების მოქმედი სისტემით“.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**